ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1398913

ნომერი: AR1235136

თარიღი : 07.07.2014

გაცემის თარიღი : 19.08.2014

გაცნობის თარიღი : 19.08.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 29 / ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის ქ. N29-ის მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ოქრიაშვილი პ/ნ 01511097883
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 5 ბ. 79

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს."ინვესტი" კოდი: 406117330

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1235136 (07.07.2014) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქ. #29, გრიშაშვილის ქ. #29-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საკითხის განხილვა საჭიროებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებას. გამომდინარე აქედან, თქვენი საკითხი შესათანხმებლად გადაგზავნილი იქნა სამინისტროში. მათი გადაწყვეტილების შესაბამისად (იხ. დანართი: ოქმი #დ/13/12/29 17.07.2014), ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქ. #29, გრიშაშვილის ქ. #29-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხი განმეორებით უნდა იქნეს განხილული შემდეგი შენიშვნების გათვალისწინებით: წარმოსადგენია ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისთვის შესაბამისი დასაბუთება. მასალა შეივსოს: გენგეგმით, ჭრილებით, ქუჩის განშლით, ნიშნულების დატანით;

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ოქმის რეკომენდაციების გათვალისწინებით ახალი განაცხადით წარმოადგენთ დოკუმენტაციას, საკითხი კვლავ გადაიგზავნება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში განსახილველად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.